როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

636 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ინგლისის ბურჟუაზიის მორიგე პროვოკაცია.

ბურჟუაზია ყოველგვარ საზიზღარ
შვალებას მიმართავს, ოღონდ თა-
სი გაიტანოს.

არაფრის წინაშე ის არ გაჩერდე-
, რომ მიაღწიოს თავის მიზანს.
ის საუკეთესო მაგალითს იძლევა
გლისის საგარეო საქმეთა მინისტ-
ის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი.

ამ ნოტაში ინგლისის მთავრობა
საყვედურებს საბჭოთა ხელისუფ-
ებას მასში, რომ თითქოს კომინ-
ერნის აღმასკომის თავმჯდომარეს
. ზინოვიევს გაეგზავნოს ინგლი-
ს კომპარტიისადმი ცირკულიარუ-
ი წერილი, სადაც ის მოუწოდებ-
ს მას ინგლისის მთავრობის დამ-
ობისაკენ და ძალა-უფლების ხელში
გდებისაკენ.

ასეთია ამ ტყუილზე და ცილის-
მებაზე აშენებულ ნოტის შინაარ-
. ამის საპასუხოდ ამხ. ზინოვიევმა
ვსებით დაამტკიცა ხსენებულ წე-
ილის სიყალბე. არავითარი მსგავსი
რათი ამხ. ზინოვიევს ბრიტანეთის
მპარტიისადმი არ გაუგზავნია.

ეს ყალბი წერილი შეთხზულია
ით ინგლისის საგარეო საქმეთა
მინისტროს მოხელეთა მიერ ისე,
ოგორც სხვა ყალბი დოკუმენტე-
, რომლებითაც ერთ დროს დი
რიხით სარგებლობდა ლორდ
რზონი.

ინგლისის ბურჟუაზია გაცხარებით
რძვის მუშათა პარტიას არჩევნებ-
და ყოველივე ღონისძიე-
ს ხმარობს, რომ დაამარცხოს ის
მისი ლიდერები. მუშათა პარტი-
ერთ ერთ ძლიერ ლოზუნგთაგა-
ა—საბჭოთა მთავრობასთან ხელ-
კრულების დადება, რომელიც მუ-
თა პარტიის მხარეზე დიდძალ მა-
ბს იპყრობს. ამიტომაც ბურჟუა-
ის მთელი ყურადღება და მოქმე-
ების გეზი მიმართულია ამ ლოზუ-
ის კომპრომეტციისკენ (გალანძღ-
საკენ).

ხსენებული ნოტაც არის ერთ ერ-
ის საზიზღარი ცილის წამებათა-
ნი, რომლითაც ინგლისის ბურ-
უაზია სცდილობს იმედი გაუცრუ-
ს მშრომელთა მასებს საბჭოთა კა-
ირთან კავშირის გაბმის სარგებ-
იანობაში და მით მუშათა პარტიას
ჩამოაცილოს მასების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეს პროვოკაციული ნოტა ინგლისის იმპერიალიზმისა—მორიგე საარჩევნო ბინძური ხერხია.

მაგრამ მიაღწევს ეს ასეთი წაბილწული გზით თავისი შავი ზრახვების განხორციელებას? დიდათ საეჭვოა.

ინგლისის მუშათა მასები არც ისე სულელია და ბრმა არიან, როგორც ეს ინგლისის ბურჟუაზიის ბელადებს წარმოუდგენიათ.

ამ ნოტის სიყალბე ყველასათვის თვალსაჩინოა. თვით თავისი დალაგების ფორმითაც, როგორც ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, „ნოტა არც ერთ კომინტერნის აღმასკომის მიმართვას არ წააგავს. გარდა ამისა ნუ თუ ბევრათ და ცოტად შეგნებულ მუშამ არ იცის, თუ რა აზრისაა კომინტერნი ინგლისის მუშათა მოძრაობის პირობების შესახებ.

ეს წერილი თავიდან ბოლომდის ყალბია, ინგლისის ბურჟუაზიის აგენტების მიერ შეთხზულია.

მისი სინამდვილეზე.თვით ბურჟუაზიის ზოგიერთ წარმომადგენლებსაც ეჩოთირება ლაპარაკი.

მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა მაკდონალდმა, რომელიც თვითონ დარწმუნებულია ამ წერილის სიყალბეში, მაინც მიმართა ოფიციალური ნოტით საბჭოთა მთავრობას.

მუშათა კლასის გამყიდველ ბელადის ბატონი მაკდონალდის ეს ნაბიჯი კიდევ ამტკიცებს მის გათახსირებას, მის შიშს ბურჟუაზიის წინაშე. მიუხედავათ იმისა, რომ დოკუმენტი ყალბია და ნაწილობრივ მის წინააღმდეგაა მიმართული.

ის მაინც ვერ ბედავს ბურჟუაზიის კარნახის შეუსრულებლობას.

ცხადია ასეთი „ბრძოლით“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მაკდონალდი შორს ვერ წავა.

მას უფრო შეშვენის ლაქიის როლი, ვიდრე მებრძოლისა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს რომ ბურჟუაზიის ასეთ პროვოკაციას ინგლისის მუშათა კლასი ღირსეულ პასუხს გასცემს.

„სამი ნაკლის“ შესახებ.

ამ სათაურით 25 ოქტომბრის გა-
თ „წითელ არმიელ“ში მოთავსე-
ლია წერილი ამხ. ტალახაძის,
ომელიც გვაცნობს ამ „სამი ნაკ-
ი“ს შინაარსს და დაასკვნის, რომ
ს წინააღმდეგ საჭიროა სათანადო
ომების მიღება.

ეს სამი ნაკლი არის შემდეგი: პი-
ველი სიტყვა „ბატონოთ“ მიმარ-
ვა, მეორე ლანძღვა-გინება და მე-
მეც რევოლიუციონურ სიმღერე-
ს უქონლობა.

რაც შეეხება პირველ ორ ნაკლს, თავის-თავად ცხადია, უნდა იქნეს სათანადო ზომები მიღებული, რომ ის აღმოიფხვრეს. აქ ზოგიერთ შემთხვევაში ბრძანებაც გასჭრის, მაგრამ აქაც საჭიროა ტაქტიკური მიდგომა. ე. ი. უნდა შეასწავლო წითელ არმიელს თუ რამდენათ ამცირებს მას, ჯერ როგორც პიროვნებას და შემდეგ კი, როგორც წითელ არმიელს ასეთი საქციელი. ერთ-ერთ ზომათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ გაუსწორებლები დაცინვის საშუალებით ამხანაგებში იქნეს გამომჟღავნებული, რასაკვირველია ეს უნდა ხდებოდეს მეგობრულ კილოთი. ზოგ შემთხვევაში კი ბრძანებაც საჭიროა. აი ის საშუალებები რომლებსაც შეუძლია წითელ არმიელი გადაარჩინოს ამ ორ უმგვანო საქციელს, რომელიც ნაყოფია ძველი ბატონყმური და ფეოდალური წესწყობილების. მესამე „ნაკლი“ კი მოითხოვს მეტ ყურადღებას და უფრო მეტ დაკვირვებას.

წითელ არმიაში რევოლიუციონურ სიმღერების შესწავლას უნდა ექცეოდეს საჭირო ყურადღება, რასაც დღემდის არ ქონია ადგილი. დღეს კი პოლიტ-განყოფილებამ უკვე აიყვანა სპეციალურად ამისათვის პირი, რომელმაც წითელ არმიელებს უნდა შეასწავლოს რევოლიუციონური სიმღერები. ეს საკითხი იმდენათ საინტერესო არ არის, ვინაიდან უკვე ტარდება ცხოვრებაში პრაქტიკულად. ჩვენ გვაინტერესებს უფრო საკითხი შეუძლია თუ არა არსებულ რევოლიუციონურ სიმღერებს სრულებით დაკმაყოფილება წითელ არმიელების ან სხვების.

ჩვენ ვიცით თუ ვისი შვილებია ჩვენი წითელ არმიელები, ჩვენ ვიცით ისიც, რომ აქ ჩვენს მტრებს ადგილი არ აქვს და ვიცით ისიც, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში არსებობს სხვა და სხვა სიმღერები, რომლებიც გამოხატავენ ხალხის სულის კვეთებას, მათ ხასიათს და ზნე-ჩვეულებას. ამ სიმღერებს რევოლიუციონურ სიმღერებზე მეტი გასავალი აქვს კიდევ. რევოლიუციონური სიმღერები იხმარება მეტ ნაწილათ, რაიმე რევოლიუციონური დღესასწაულის ან ალტყინების დროს. სხვა სიმღერები, როგორიც არის „რირა ორირა„, „აბადელია“ „მრავალჟამიერ,“ „ურმული“ და, თუგინდ, გორული „ყანური,“ გამოხატავენ ხალხის ამა თუ იმ ხასიათს და სულის კვეთებას. რევოლიუციონური სიმღერები ყოველ დროს და გარემოებაში არ იხმარება და ეს ასეც უნდა იყოს. სოფლის მუშის ცხოვრებაში, სადაც სიმღერებს აქვს სერიოზული ხასიათი. (მაგ. შემოდგომაზე სხვაა და გაზაფხულზე სხვა) სიმღერა არის გამომხატველი ყოფა ცხოვრების, ხასიათის, მწუხარების, სიხარულის, ბრძოლის და სხვა. ყოველ ამ შემთხვევაში სხვა და სხვა გვარ სიმღერას მიმართავენ ჩვენი მცხოვრებლები.

მართალია რევოლიუციონურ სიმღერებს უნდა დაეთმოს პირველი ადგილი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენი სიმღერები უფრო შეეხებიან მარტო ბრძოლას და უკეთეს მომავლის იმედებს. ადამიანი კი ყოველთვის ბრძოლაში, სიხარულში, მწუხარებაში არ იმყოფება: ის ხან ისვენებს, ხან მუშაობს, ხან სევდისაგან მოქანცული ფიქრს მოუცავს და აქ ის სხვა და სხვა გვარად გამოხატავს თავის განწყობილებას სიმღერებში. ამ შემთხვევაში ის მიმართავს ხალხურ სიმღერებს, რომლებსაც არ შეიძლება მივაწეროთ რაიმე ცუდი, ანდა ჩვენი საწინააღმდეგო რამ.

ამ სიმღერების გაუქმება ბრძანებით შეუძლებელია, როგორც ეს ამხ. ტალახაძეს მოუხდენია ქართულ სკოლაში. იმედია ამხ. ტალახაძე არ მიიღებს საწყენად. მე სრულიად არ მაქვს აზრათ მისი შეურაცყოფა.

საჭიროდ მიმაჩნია ამის აღნიშვნა, რომ ამით საკითხის არსებითი მხარე გავაცნო ჩვენს პოლიტიკურ მომუშავეებს, რომ შეცდომაში არ შევიდნენ.

განა ვის არ უნდა დღეს არსებობდეს კომუნისტური საზოგადოება, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. არ არსებობდეს არავითარი წინააღმდეგობანი საზოგადოებაში და ან ყველანი ვიყვეთ ერთი აზრით გამსჭვალული, თუ როგორ განვავითაროთ ჩვენი მეურნეობა და განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ ჩვენი საზოგადოება მრავალი წინააღმდეგობანით არის მოცული, რომლებსაც აინტერესებს თავიანთი ნაჭერი მიწა და პირადი ინტერესების გაუმჯობესება, მას ჯერ კომუნიზმის სიდიადე ვერ ან არ შეუგნია. მისვლა მასთან და თქმა კერძოთ გინდ დეკრეტის ძალით, რომ შენ „რირა-ორირას“ ნუ მღერიო, შეუძლებელია. ეს იქნება ერთნაირი წაღიზიანება, რომელიც მოიტანს მეტ ზიანს, ვინემ სარგებლობას. განა „რირა-ორირას“ თქმას შეუძლია რაიმე ზიანი მოგვაყენოს?— სრულიადაც არა. მხოლოდ ჩვენი არმიელები, რომელთა უმრავლესობაც გლეხების შვილებია, ამ სიმღერაში გამოხატავენ ერთნაირ სულიერ განწყობილებას.

თუ თვით დროთა ვითარებამ არ შესცვალა ეს, შეიძლება ვსთქვათ ყოვლად უაზრო, „რირაორირა“ და სხვა სიმღერები, როგორც სხვა მრავალი ასეთები მიუვიწყებია ისტორიას—აქ ბრძანება კი ვერაფერ სარგობლობას მოგვიტანს. ყველა ერში არსებობს ესა თუ ის ხალხური სიმღერები და ამით ისინი გამოხატავენ თავიანთ სულის კვეთების შინაარს. შეიძლება სხვა და სხვა ერებიდან, რომლებიც სდგანან კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე, რამოდენიმე სიმღერები გადმოვიტანოთ, მაგრამ მთლიანათ დაკმაყოფილება ქართული მასების ამ სიმღერებით შეუძლებელია.

ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, როგორც ამხ. ტალახაძისაგან, ისე პოლიტ-განყოფილებისაგანაც, რომ ტყვილა უბრალოთ საბაბს არ ვაძლევდეთ მოწინააღმდეგეს ხელში.

არა ბრძანებით აკრძალვა, არამედ შეცვლა მათი რაიმე უკეთესით და ახალით. აი რა უნდა აკეთოს პოლიტ-განყოფილებამ. მანამ კი ჩვენს წითელ არმიელს უნდა მიეცეს საშუალება რევოლიუციონურ სიმღერებთან ერთად იმღერონ ხალხური სიმღერები, რომლებიც სრულებით არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ცხოვრებას.

აი რა გზას უნდა დავადგეთ და როგორ უნდა მოვსპოთ ის სიმღერები, რომლებსაც არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით ჯერ ისტორიის წინაშე.

ამას მე მგონია ამხ. ტალახაძეც მიაქცევს ყურადღებას.

ვ. სიხარულიძე.

ამხ. ზინოვიევის წერილი ტრედ-უნიონთა გენერალურ საბჭოს.

ინგლისის ტრედ-უნიონთა (პროფკავშირთა) გენერალურ საბჭოს ამხ. ზინოვიევმა გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ეგრედ წოდებული კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წერილი, რომელზედაც ვითომც ხელი მომეწეროს მე, უხეშ სიყალბეს წარმოადგენს.

არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი წერილი.

ეს სიყალბე იმდენად აშკარაა, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თვით უბრალო მოხელეც კი შეამჩნევდა ამ სიყალბეს.

თავის დროს ჩვენ ვურჩევდით იუზს სამედიატორო სასამართლოს გზით დოკუმენტის სიყალბის გარჩევას. მან უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, ვინაიდან ეშინოდა სიყალბის გამომჟღავნების.

ჩვენ მზად ვართ ვურჩიოთ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კიდევ მეტი: „დეე, გენერალურმა ტრედ-უნიონთა საბჭომ გამოიკვლიოს საკითხი დოკუმენტის შესახებ. ჩვენ—მივიღებთ ასეთი კომისიის გადაწყვეტილებას საბოლოო გადაწყვეტილებად.

ინგლისის ნოტის გარშემო.

საუბარი ამხ. ზინოვიევთან.

უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, რაკოვსკის მიერ მიღებულ ინგლისის ნოტის შესახებ, ამხ. ზინოვიევმა განაცხადა:

„წერილი, რომელზედაც ხელის მოწერას მომაწერენ მე, თავიდან ბოლომდი სიყალბეს წარმოადგენს. იმ ორგანიზაციას, რომლის თავმჯდომარედ ვარ მე, არას დროს ოფიციალურად არ ეწოდებოდა „მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომი.“ მას ოფიცია-

ლურად ეწოდება „კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი.“

არ არის აგრეთვე მართალი ხელმოწერა: „პრეზიდიუმის თავმჯდომარე.“ არც ხელის მოწერის რიცხვია მართალი, ვინაიდან 15 სექტემბერს მე ვიმყოფებოდი კისლოვოდსკში საქმიოდ და არავითარ ოფიციალურ წერილზე არ შემეძლო ხელის მოწერა“.

ამხ. ზინოვიევის შემდეგი ახსნისაგან ცხადი ხდება, რომ ეს წერილი შედგენილია იმ მიზნით რათა შეაფერხონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

ჰანრი ბარბიუსის მოწოდება.

საფრანგეთის ცნობილმა მწერალმა ჰანრი ბარბიუსმა მიმართა გონებრი და ფიზიკური შრომის მომუშავებს მოწოდებით ხელი შეუწყონ ყოველ მხრივ საერთაშორისო მუშაკთა დამხმარე საზოგადოების მოღვაწეობას. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: 1921 წელს ხსენებულმა საზოგადოებამ იხსნა გვალვით გამოწვეულ შიმშილისაგან ვოლგას მხრის მცხოვრებლები, 1923 წელს დაეხმარა იაპონიის ხალხს, რომელიც მსხვერპლი შეიქნა მიწის ძვრისაგან გამოწვეული უბედურების, დაეხმარა გერმანიის მოსახლეობას და სხვა. ბუნების კატასტროფის (უბედურება) მსხვერპლებზე დახმარებადინ ის გადავიდა კაპიტალის მსხვერპლის დახმარებაზე. მომქმედ მეგობართა ეს ინტერნაციონალი ჩვენ უნდა გვიყვარდეს, დავიცვათ და ყოველმა ჩვენგანმა თავიანთ ქვეყანაში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ მას“.

საბჭოთა ფედერაციაში

ამხ. რიკოვის დაბრუნება მოსკოვში.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაბრუნდა სამხრეთ-რუსეთიდან, სადაც საექიმოდ იყო წასული.

ამხ. რიკოვი 27 ოქტომბრიდან შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

სოფლის კორესპონდენტების მკვლელობა.

— ჩერნიავის ოლქის სოფელ სტრელცაში მოჰკლეს ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი დერიუგი.

— სოფელ დანილოვიჩში, გომელის მაზრაში, სოფლის საბჭოს სხდომაზე, ფანჯრიდან გასროლილ დუმ-დუმის ტყვიით მოჰკლეს ლენინელ ახკომკავშირის უჯრედის მდივანი, სოფლის საბჭოს წევრი, უვადო შვებულებით წასული წითელ არმიელი ლებედევი·

ლებედევს მოკვლამდი ორხელ დაესხენ თავს.

სოფკორის მოკვლისთვის 10 წლის ციხე.

ამ დღეებში ტამბოვის საგუბერნიო სასამართლოში გაირჩა გაზეთ „ნაშა პრავდას“ კორესპონდენტ კარანდეევის მკვლელოკის საქმე.

კარანდეევი გახდა კულაკი კამენსკის მსხვერპლი.

სასამართლომ მიუსაჯა კამენსკის 10 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

სოფელ დიმოვკის სახელის გამოცვლა.

გაზეთ „პროლეტარი“-მ წინადადება შეიტანა, სოფელ დიმოვკას, რომელშიაც მოხდა სოფლის კორესპონდენტ მალინოვსკის მკვლელობა, უწოდონ **მალინოვკა**.

ხარკოვის მუშკორთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

ლიხაჩევის დასაფლავება.

კვირას 26 ოქტომბერს, მოსკოვის პროლეტარიატმა დაასაფლავა უხუცესი წევრი კომპარტიის—ლიხაჩევი. დასაფლავებაზე სიტყვები წარმოსთქვეს კამენევმა, პეტროვსკიმ, ბუხარინმა, დიადოვმა, მელნიჩანსკიმ და სხვებმა.

ბაქოს ტრამვაი.

ბაქოს ტრამვაის უკანასკნელი ხაზი დამთავრდება დეკემბერში.

ახალი ხაზისათვის დაუკვეთეს მოსკოვს 30 მოტორის ვაგონი.

„ბელოგოროდის“ ხაზის გაყვანის შემდეგ დაიწყება ტრამვაის გაყვანა ლენინის ქარხნისაკენ და სადგურს მოშორებულ რაიონებში.

ინგლისის კომპარტიის ცეკას ცნობა-

ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის ცნობაში ვითომდა ზინოვიევის ხელმოწერილ წერილის შესახებ ამბობს:

„დოკუმენტი ყალბია. არავითარი ასეთი წერილი კომპარტიას არ მიუღია.

მაკ-მანუსი, რომელიც ეხლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, აცხადებს, რომ არავითარი ასეთ ქაღალდზე მას ხელი არ მოუწერია.

რატომ მოაწყო ეს ჭუჭყიანი საქმე საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა? უნდა განადგურდეს ეს უმსგავსო და მფრთხალი შეთქმულება. დეე, თვით მუშათა კლასმა თავისი ხმის მიცემით თავიდან მოიშოროს ეს რეაქციონერები.“

ადგი ცნო.

გადატრიალება ჩინეთში.

ახალი კაბინეტი.

პოლიტიკური მდგომარეობის რყევა.

შესდგა ჩინეთის მთავრობის ახალი კაბინეტი.

პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად არჩეულია **ვანდ-ქენ-ტი** (ჩინეთ-საბჭოთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარე). გზათა მინისტრად— გენერალი **კუ-ანგ-ფუ**. დანარჩენები ნაკლებ ცნობილი არიან·

პოლიტიკური მდგომარეობა ყოველ დღიურად იცვლება.

უ-პეი-ფუმ, რომლის მდგომარეობა გამოუვალად ითვლებოდა, შესძლო გაერღვია გარშემორტყმული მტრის ალყა.

საერთო მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვევა სულ რამოდენიმე დღეში.

ცაო-კუნის დეკრეტი.

გენერალი ტუან-ცი-ჩჟუ·

იაპონიის ჩარევა.

პრეზიდენტ **ცაო-კუნმა** გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის ძალითაც უ-პეი-ფუს უნდა ჩამოერთვას ყველა ჩინი და ორდენები და მოითხოვს სამოქალაქო ომის შეწყვეტას.

პეკინში გადატრიალების მომწყობმა გენერალმა ფინ-იუსიანმა მოიწვია გენერალი ტუან-ცი-ჩჟუ პეკინში, რათა შეუდგეს პრეზიდენტის თანამდებობას.

იაპონია ახალ დამხმარე ძალებს აგზავნის ჩინეთში. საფრანგეთის ჯარების სარდალი პეკინში, პოლკოვნიკ ქერარი საჩქაროდ გაემგზავრა იაპონიაში სპეციალურ მინდობილობით.

გენერალი უ-პეი-ფუ კვლავ სცდილობს შებმას მოწინააღმდეგეებთან.

ლენინის ძეგლი.

ბათუმის ნავთის სინდიკატის მუშებმა დაადგინეს აგონ ლენინის ძეგლი თავის ხარჯზე.

ამისთვის საჭირო თანხა დაგროვებულ უნდა იქნას ზედმეტი სამუშაოს ხელფასით.

შიმშილობა კორეიაში.

კორეიაში მძვინვარებს საშინელი შიმშილი. ხალხი ხის კანით და ფესვებით იკვებება.

ამავე დროს კი, ბარონ ოკურამ, რომელიც კორეის სიმდიდრეთა მსხვილი ექსპლოატატორი არის გაფლანგა ტოკიოში რამოდენიმე მილიონი იენი თავის დაბადების დღესასწაულზე.

წინეთ და ეხლა

წინეთ.

მომიწია ჯარში წასვლის ვადა.

შემოდგომა იყო. ყომრალი ღრუბელი ცას გადაკვროდა..

დღე იყო მოწყენილი, ცა მტირალი, მიწა დასველებული,

ახალგაზრდა ყმაწვილებიც ქეიფზე არ იყვენ. ზოგი აწითლებული იყო სახეზე ღვინისა და არაყის გადაკვრით. ზოგიც ძლივს ტორტმანობდა. ზოგი სტიროდა. ზოგი თვალთმაქცობდა და იცინოდა.

საზოგადოდ კი ყველა ისე იყო მოწყენილი, ვით შემოდგომის მოქუშული დღე·

ერთ მშვენიერ დღეს ჩაგვყარეს ვაგონებში და 6 თუ 7 დღის შემდეგ ქ· ვორონეჟში ამოგვაყოფიეს თავი.

ქალაქი გრძელი და უშნო იყო. გავყევით ქუჩას.

მარხილები გაებათ და უსაქმონი ახლად მოსულ თოვლზე სრიალით სიამოვნებდენ.

ჩვენ კი მხარზე ბარგი-ბარხანა გაწყობილნი მივდიოდით შუა ქუჩით.

ბევრი ვიარეთ. გავსცილდით ქალაქს.

გავედით გაშლილ მინდორში.

იქ სოკოებივით იყვნენ მოფენილი წითელი აგურის შენობები.

ეს იყო ჩვენი საცხოვრებელი ბინა-ყაზარმა.

* * *

რამოდენიმე კაცი დაგვნიშნეს ერთ როტაში.

მივედით თუ არა დაგვანაწილეს ოცეულებში სიმაღლის მიხედვით.

ოცეულის თავებიც ხელად გამოჩდენ.

პირველ ყოვლისა ეცენ ჩვენ თმებს. კბილებ მოტეხილი მაშინით დაგვიწყეს ღირჯნა.

ჩვენი თხოვნაა კარგი მაშინა იყოს და ფულს ჩვენ გადვიხდითთქო არად მიიღეს!

პირიქით სასაცილოდ არ ეყოთ.

ჰუ! თქვენ არტისტებო. რაღაც ორი ანბანი გისწავლიათ და კაცი გგონიათ თავი.

ერთი გადაგკრიჭოთ და გაგიყვანოთ მინდორში... იმდენს გარბენინებთ, რომ ღმერთს გაწყევლინებთ.

დიახ! ასე მოგვმართა ოცის თავმა. ნასწავლი ხალხი ხართ და სეირს შეგყრითო.

გაკვირდენ ყმაწვილები, რომლებიც შველას ჩვენგან მოელოდენ. რუსული იცით, წერა იცით, კითხვა იცით თქვენ რა გიჭირთ ჩვენ ვიკითხოთო გზაში მგზავრობისას ამბობდენ ისინი.

მისვლისას კი დაინახეს რომ ჩვენს ბედს მათი ბედი სჯობდა. ჩვენ ვსძულდით ისინი უყვარდათ (ვითომდა თორემ სინამდვილეში ყველა ვსძულდით.)

რატომ?

ეს ადვილი გასაგებია რატომ? რაც უნდა ავი ზომები არ მიეღოთ, ვინც ბევრი იცის, უფრო ბევრ წინააღმდეგობას გასწევს.

ჯერ კიდევ თავის სოფელს გაუცილებელი კაცი ვის რას გაუბედავდა?

ამიტომაც ნასწავლ ხალხს, ანუ არტისტებს, როგორც ისინი ეძახდენ, რასაკვირველია უფრო ცუდი დღე ადგა.

* * *

ყაზარმაში სხვა და სხვა ხალხი ვიყავით: ებრაელი, თათარი, რუსი, კარაიმი, სომეხი, ქართველი, მოლდავანი, ორი სამი ჩინელიც კი. ლოგინები სართულებიანი იყო. მაინც არსად ვეტიეთ. ზოგი ლოგინსა და ლოგინს შუა იწვა, ზოგი ქვეშ და რა ვიცი სად არა.

თავების გადაკრეჭის--თანავე დაგვირიგეს მკბენარებით სავსე მუნდირები, ქუდები, რომელიც თავის კოსროზედაც არ დაგვეტია.

გაგვიყვანეს მინდვრად და „раз-- два, раз два“-ს ძახილით ამოგვიხრინწეს ყელი.

მახინჯები ჩვენს შორისაც ერიენ.

სოფლელ ყმაწვილებს ძალიან აწუხებდა წერა-კითხვის უცოდინარობა. წერილის მოწერა სურდათ და წერა არ იცოდენ.

ხან ერთს მიმართავდენ და ხან მეორეს.

მასთან სოფლის მამასახლისთან დაჩვეულნი ორ შაურიანს შეთავაზებდენ წერილის მწერალს. რასაკვირველია იყვენ ისეთი ყმაწვილები, რომლებიც არ აიღებდენ ფულს, პირიქით შეურაცყოფად მიიღებდენ ასეთ შეძლევას. მაგრამ იყო ერთი იმერელი ბიჭი. სახელად გრიშა ერქვა. ის ყოველივე სისაძაგლეს სჩადიოდა. აი ამ გრიშას ვიღაც ჯანელიძესათვის წერილი დაეწერა. მამისთვის შეეთვალა ფული მჭირდება თავს ვინთავისუფლებო, გაყიდე ცხენი და ხარი; ფულს როტაში ნუ გადმომიგზავნი დამეკარგებაო. ამა და ამ ვაჭარს გადმოუგზავნე; ჩემი მეგობარია ის გადმომცემსო.

ასე მიეწერა გრიშას ჯანელიძის მამისათვის. თვით ჯანელიძე კი სრულიად არ ფიქრობდა ამ საქმეზე.

ჯანელიძის მამას მართალი გონებოდა. გაეყიდა უკანასკნელი ხარი და ცხენი. ფული გრიშამ მიიღო და შესჭამა. ჯარის კაც ჯანელიძეს კი რაღაც უხიაგი წამლის ხმარება ასწავლა. შესჭამა თუ არა, ლოგინად ჩავარდა, დიდხანს იავადმყოფა და მწარე ტანჯვაში განუტევა სული.

ეხლა ასე არ არის.

ჯარში წასვლა ყველას უხარია. სიამოვნებით და ჟრიამულით მოიჩქარიან წითელ ყაზარმისაკენ.

მოსვლისთანავე მათ გუნდებში აწესებენ; გუნდი-ოცეულებში. ოცეულის უფროსი ზრუნავს თავის ახალ სტუმრებზე.

უხსნის და უმარტავს ჯარში სამსახურის წესებს, მოვალეობას, უფლებას და ვალდებულებას.

ჩვენს მეთაურებს არც ერთი წითელ-არმიელი არ სძულთ.

ყველა ერთნაირად უყვართ.

სძულთ მათ სიბნელე და უსწავლელობა. ამიტომაც არის რომ ეხლავ ადგენენ წერა-კითხვის უცოდინართა სიას.

ვინც წერა-კითხვა არ იცის, უეჭველად უნდა ისწავლოს.

თორემ ვინ იცის ძველებური გრიშები ეხლაც გამოჩდენ და სხვის მაგივრად ფულების მიღება მოისურვონ.

„სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ ნათქვამია.

ჯერჯერობით წერა-კითხვა არ ვიცით. რომ ვინმეს არ დაემართოს ჯანელიძისთანა ამბავი, საჭიროა საჭირბოროტო საკითხებზე სამხედრო კომისარს, პოლიტიკურ მომუშავეს და მეთაურს მიმართოს.

სანამ ერთმეორეს კარგად არ გაიცნობთ, ნდობა ნაკლები უნდა ქონდეს.

თითონ მეც მომატყუილა ვიღაცა **ბეჟუაშვილმა**.

სწორედ იმავე ვორონეჟში. ბეწვის ქუდი მთხოვა და ვათხოვე.

წაიღო და აღარ მოიტანა. ვეღარც მის მერე შევხვდი.

შერჩა ხ ხვივით, რომ იტყვიან.

წითელ ჯარში არც გრიშებს და არც ბეჟუაშვილებს ადგილი არ აქვთ. მაგრამ პირველ ხანებში შეიძლება ყველა სჯულის ხალხი შეგვხვდეს.

ამიტომ დიდი ყურადღება ესაჭიროებათ მეთაურებს, სამხედრო კომისრებს, პოლიტიკურ მომუშავეთ და ძველ წითელ არმიელთ.

დაეხმარეთ ახალ წვეულს, მიეცით მას ამხანაგური რჩევა.

პ. ბ—ძე.

ჩვენი წითელი კარი

მოგვაქციეთ ყურადღება.

თითქმის ერთი თვე ხდება, რაც 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონიდან გამოყვეს დეზინტერიით ნაავადმყოფარი წითელ არმიელები და მოათავსეს ცალკე კარანტინში.

პირველად გადაგვიყვანეს ერთ ერთ შენობაში, რომელიც მუდამ წვიმის წყლით იყო სავსე. მაინც იქ ყოფნის დროს სულ ცუდი ამინდი იყო. ასეთ მდგომარეობაში ვიყავით, სანამ კარგი ამინდები არ გამოვიდა.

ამ ჟამად გადაყვანილი ვართ სულ სხვა ბინაზე, სადაც ადამიანს ერთი საათითაც არ შეუძლია გაჩერება. არები არ აქვს კედლები სულ ნესტიანია, რამაც გამოიწვია წითელ არმიელთა დასნეულება.

ზოგს ახველებს, ზოგს გული სტკივა, ზოგს მუხლები და ერთი სიტყვით ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ვართ.

ჩვენ კარგათ ვგრძნობდით თავს, როდესაც ყაზარმაში ვიყავით. ეხლა კი თითქმის ნახევარი წითელ არმიელები ავად არიან.

ძალიან გვიკვირს თუ რატომ ვართ აქ მოთავსებული. ასე ვართ როგორც მოძულებული.

ვსთხოვთ ვისაც ეს შეეხება მიაქციეთ ასეთ ჩვენს აუტანელ მდგომარეობას ყურადღება და თუ შესაძლებელი იქნება მოგვეცეს კარგი ოთახი რომ ჩვენი ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ. ექიმმა კი აგვიხსნას მაინც თუ რატომ ვართ მოთავსებული ასე უყურადღებოდ.

წ.-არ. შ. მარდალეიშვილი.

ჩვენი მუშაობა მწვევამდელთა პუნქტებში.

(საკლუბო მუშაობა.)

25 ოქტომბერს შესდგა ქალ. ტფილისის მწვევამდელთა მეორე პუნქტის გაერთიანებული კრება.

კრებას ხსნის ამხ. შათბერაშვილი.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საკლუბო მუშაობის შესახებ.
2. კულტკომისიის არჩევა.
3. ლენინის კუთხის პრეზიდიუმის არჩევა.
4. კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის არჩევა და სხვა.

საკლუბო მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კალაკაროვმა, რომელმაც დეტალურათ აღნიშნა საკლუბო მუშაობის ყველა მხარეები.

მოხსენება იყო რუსულ და ქართულ ენებზე, რომელმაც მრავალი შეკითხვები გამოიწვია.

კულტკომისიის მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოდის ამხ. ლომაძე. ის ვრცლად ახასიათებს თუ რა როლი უნდა შეასრულოს კულტურულმა კომისიამ.

არჩეული იქნა კულტკომისია შემდეგი შემადგენლობით: კულტკომისიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ამხ. გიგინეიშვილი, წევრებათ ამხ. ანტონოვი და რაზმაძე.

ლენინის კუთხის პრეზიდიუმის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ამხ. შატბერაშვილი. ლენინის კუთხის პრეზიდიუმის წევრებათ იქნენ არჩეულნი. ს. სესლავინი, შატბერაშვილი და ხატიაშვილი.

ბოლოს ამორჩეული იქნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით ამხ. ქებაძე, ხუციშვილი შიკანიანი, მგალობლიშვილი, სესლაკინი და ტერ-პეტროსიანცი.

ეს პუნქტი ეკუთვნის მეორე ტერლეგიონს. აქ კულტკომისია იქნა გამოყოფილი იმ მიზნით, რომ ისინი ჩაუდგებიან სათავეში ყოველგვარ კულტურულ მუშაობას პუნქტის ფარგლებში.

მეორე ტერლეგიონის კლუბის გამგეობა სრული დარწმუნებულია, რომ ზემო აღნიშნული ამხანაგები გაამართლებენ მათზე დაკისრებულ დავალებებს.

სამხკორი: **ესმაშვილი.**

სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

ორშაბათს, ოქტომბერს 27, შესდგა სამხედრო პოლიტსკოლის საერთო კრება.

ეს კრება პირველი იყო კურსანტების შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ.

სკოლის უფროსმა სთხოვა კურსანტებს, მოკლედ გაეცნოთ ამხანაგებისათვის თავისი მუშაობა სოფლად შვებულების დროს.

გამოირკვა, რომ ის ორი კვირა, რომელიც მათ გაატარეს სახლში, ნაყოფიერად გამოუყენებიათ. ზოგს გაუკეთებია მოხსენება ამა თუ იმ საკითხზე. ზოგს სისტემატიურათ უწარმოებია ბაასი გლეხებთან უკანასკნელ მენშევიკების გამოსვლების შესახებ, ბევრს გაუმართავს წარმოდგენა და სხვა.

ამას გარდა წინადადება მიეცა ამხანაგებს შეადგინონ მოკლე მოხსენებები ამ მუშაობის შესახებ და გადასცენ კედლის გაზეთის კოლეგიას.

მეორე საკითხი ეხებოდა სწავლის დაწყებას.

სამოსწავლო ნაწილის უფროსმა აუწყა კურსანტებს, რომ სწავლა დაიწყება სამშაბათს, ოქტომბრის 28, მეცადინეობა იქნება ჯერ-ჯერობით ძველი პროგრამით.

მესამე საკითხი ეხებოდა მუშაობას ახალ კურსანტების შორის. სკოლას მიემატა 25 ახალი კურსანტი დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებიდან. ისე, რომ სკოლაში ამ ჟამად არის ორი განყოფილება: უნცროსი და უფროსი. უფროს განყოფილების კურსანტებს დაევალათ გააცნონ ახლებს სკოლის მდგომარეობა, მისი დანიშნულება, მომავალი მათი მუშაობა და სხვა, რაც კურსანტების მიერ სიხარულით იქნა მიღებული.

ელდაზარ.

შორს ჩვენგან ასეთი მეთაურები.

1-ლ ლეგიონის ბატარეიას ხელმძღვანელობს ოცეულის თავი ამხ. ლ. პეტრიაშვილი, რომელიც ბოროტად იყენებს თანამდებობას.

17 ოქტომბერს ამავე ბატარეის წითელ მოლაშქრეს ამხ. კინწურაშვილს მოუვიდა უწყება ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებიდან, რომ მას მისი მშობლები უგზავნიდენ ფულს 27-მანეთს, რითაც ამხ. კინწურაშვილს თავისი ღარიბი ოჯახისათვის უნდა ეყიდა რაღაც ფართლეულობა. მაგრამ ეს უწყება მიუღია ბატარეიის უფროს, რადგან ამხ. კინწურაშვილი ამ დროს იქ არ იმყოფებოდა.

მწყობრის თავს პეტრიაშვილს ეს უწყება ძალით გამოურთმევია შიკრიკისათვის და წაუღია სამხედრო კომისართან შესამოწმებლად, რომ ამხ. კინწურაშვილი ნამდვილად ლეგიონის წითელი მოლაშქრეა.

შემდეგ ის საფოსტო განყოფილების წინაშე წამდგარა კინწურაშვილის სახელით და გამოუტანია 27 მანეთი და მიურთმევია.

წ. არმიელმა ეს არ იცოდა მან ხელმეორედ მიიღო წერილი მშობლებიდან, რომლებიც, იწერებოდენ: „შვილო, გამოგიგზავნეთ ოცდა შვიდი მანეთი რაღაცების საყიდლად და რატომ არაფერს იწერებით."



ამხ. კინწურაშვილი იმ წამსვე წავიდა ფოსტაში და იქ აღმოჩნდა, რომ მისი ფული ერთი კვირის წინად მიუღია მისი ბატარეიის მწყობრის თავს და შეუჭამია.

დღეს კი ეს ვაჟბატონი 8 მანეთის მეტს არ აძლევს.

რას ნიშნავს ეს? რა უნდა უწოდოთ ასეთ საქციელს?

პეტრიაშვილს ასეთი საქციელი არა ერთხელ ჩაუდენია.

აი კიდევ ფაქტი.

მე-5-თე ლეგიონის კოოპერატივიდან პეტრიაშვილს მოტყუილებით გამოუტანია საქონელი. როცა მას შეუტყვეს და პასუხი აგებინეს როგორღაც მოახერხა გამოძრომა ამ პასუხის მგებლობიდან. ვეკითხებით თვით ამხ. პეტრაშვილს. განა ასეთი საქციელი დასაშვებია მეთაურისგან? განა ასე საძაგლად უნდა მოექცეს წითელ არმიელს აღმზრდელი მეთაური? მშობლებმა მას იმიტომ გამოუგზავნა ფული, რომ შეეძინა რამე ღარიბ ოჯახისათვის და თქვენ კი უსირცხვილოდ შეუჭამეთ?

ამხ. სამხკომო და ლეგთავო! თქვენებურათ ჩაჰკიდეთ ხელი ამ ბოროტმოქმედს. წითელი არმიელი დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღნიშნულ ფულით და ეს ვაჟბატონი მიეცეს პასუხის გებაში.

ის გაშვებულიც უნდა იქნეს ჩვენი რიგებიდან, როგორც წითელი ჯარის სახელის გამტეხი. თორემ ნათქვამია: „ერთი შერჩა მელასო, მოუმატა კბენასო." ასეთად გადაიქცევა აღნიშნული მეთაური.

სირცხვილი და ზიზღი ასეთ მეთაურებს.

სამხკორი დოროთე.

საჭიროა დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

ჩვენმა ქართულ 1-ლ საარტილერიო დივიზ. გაზეთ „პანორამის" სარედაქციო კოლეგიამ დაადგინა შეუდგეს ყოველ თვიურ ჟურნალის „არტილერისტის ხმა"-ს გამოცემას შემდეგი განყოფილებებით: პოლიტიკა, სამხედრო საქმე, საკლუბო და სასკოლო საქმე, მედიცინა, ვეტერინარია, იუმორი და ლექსები. თანახმად დადგენილებისა (მუხლი 3) ჟურნალის პირველი ნომერი უნდა გამოსულიყო სულ მოკლე ხანში. უკვე ხუთმა თვემ განვლო და ჯერ კიდევ ვერ ვეღირსეთ მის დანახვას და წაკითხვას.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის რევოლიუციის საზეიმო დღეები და სასურველია, რომ ამ დროისთვის მაინც გამოვიდეს აღნიშნული ჟურნალი.

საყურადღებოა ის გარემოება რომ ყდა, ფურცლები და ყოველივე ტეხნიკური მხარეები უკვე დამთავრებულია, საქმეს აფერხებს მასალების უქონლობა.

არა ერთხელ მიუმართავს კოლეგიას თხოვნით პირადათ სხვა და სხვა ამხანაგებისათვის, მხოლოდ დღემდე ეს თხოვნა უნაყოფოდ არის დარჩენილი.

მსურს რა კოლეგიას დავეხმარო ჟურნალის გამოცემაში, უგზავნი მას სათანადო მასალას და მასალების მიწოდებაში ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჰაიას, ყარაშვილს, კილაძეს, ნიკურაძეს, ექ. ჩაჩავას, ჟურულს, კიკნაძეს, ერისთავს და ჩიჩუას.

სამხკორი დროშელი..

პარტიული ცხოვრება.

საყურადღებო კრება.

18 ოქტომბერს მეორე ტერ-ლეგიონში მოხდა კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო მრავალი საყურადღებო საკითხები.

კრებას ბლომად დაესწრნენ უპარტიო წითელ არმიელები და უფშემადგენლობა.

აღსანიშნავია ის დაინტერესება და საქმისათვის გულშემტკივრობა, რომელსაც იჩენს ჩვენი ლეგიონის უპარტიოთა შემადგენლობა.

ყველა საკითხების გარჩევაში აღნიშნულ კრებაზე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ამხანაგები.

ჩვენი კომუჯრედიც დიდ ანგარიშს უწევს უპარტიო ამხანაგებს და მათ დაუსწრებლად თითქმის არ სწყვეტს არც ერთ საკითხს. ლეგიონის კომუჯრედსა და უპარტიო მასის შორის ასეთი განწყობილება იმის მაჩვენებელია, რომ უპარტიო და პარტიული ამხვნაგებს შორის დიდი ერთ სულოვანობაა ჩვენთან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საკითხში. გაუმარჯოს ასეთი ერთი ნებისყოფი გაერთიანებულ მეორე ლეგიონის ამხანაგებს.

პარტკორი **ი. გაგოშიძე.**

ბიბლიოგრაფია.

პ. ბუაჩიძე.—ვენერიული სნეულებანი. პოლიტგანი 1924. გვ. 31.

ამ დღეებში ყველა სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკებს დაურიგდათ ამხ. ბუაჩიძის წიგნაკი ვენერიულ სნეულებათა შესახებ.

წიგნის უმთავრესი ღირსებაა, რომ ის წითელ არმიელისათვის გასაგებ ენით აშუქებს ვენერიულ სნეულებათა წარმოშობის სოციალურ მიზეზებს.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს სნეულებანი კაცობრიობას თან სდევს წარმოშობიდან და ის უნდა ჩაითვალოს მის ერთ უსაშინელეს მტრად, ამიტომ აუცილებელია მის წარმოშობის და გადადების მიზეზების და საშინელ შედეგების გაცნობა ფართო მშრომელ მასებისათვის. მით უფრო წითელ არმიელთათვის, რადგან ყოველგვარ გადამდებ სნეულებისათვის ნოყიერი ნიადაგია საერთო საცხოვრებელი ბინები და მეორეს მხრივ უვიცობაც ფართეთ უწყობს მათ გავრცელებას ხელს.

ქართულ ენაზე ამ საგანზე პოპულიარულ ენით დაწერილი შრომები იშვიათად მოიპოვება, ამიტომაც ამხ. ბუაჩიძის წიგნაკის გამოცემა სასიხარულო და თანაც დროულია. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს წითელ-არმიელებს, აგრეთვე სასურველია, რომ ის ფართედ იქნეს გავრცელებული სოფლად.

წიგნი სუფთად არის გამოცემული, ლამაზი შრიფტით და კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ვურჩევთ წაიკითხოს თითეულ წითელ არმიელმა და ყველა ამ საგნის არა სპეციალისტმა.

წიგნაკი ღირს ორი შაური.

გრიან.

ჩვენი შემოქმედებანი.

„წითელი დროშა" № 26.

(1-ლი დივ. ცალკე საკავშირო ასეულის ორკვირეული კედლის გაზეთი).

გაზეთი გამოვიდა ამ დღეებში საზეიმო ხასიათის ნომერია და მიძღვნილია ახალწვეულებისადმი.

შესდგება ორი გვერდისაგან რაც უჩვეულოა.

წერილები პირველ გვერდზე: 1. ახალწვეულებს—კარგია, გარკვეული ხელით ნაწერი, მხოლოდ ეტის მეტად გრძელია. (ორი სვეტი უჭირავს). 2. წითელი და შავი დაფა, 3. ახალი ამბები, და კარიკატურები ასეულის ცხოვრებიდან.

მეორე გვერდზე მოთავსებულია 1. წერილები: 1. სანიტ. კუთხე, 2.

სურათი კომუჯრედში. (მეგობრული შარჟებით), 3. იუმორი, 4. ცოტა გაუგებრობა (სახუმარო) და მესტვირული.

სურათები სჭარბობს და ბევრი ადგილი უკავია, წერილები ნაკლებია. ორგვერდიან გაზეთში მეტი წერილები და განყოფილებები უნდა ყოფილიყო.

გაზეთის სათაურს, თითქმის გვერდის მესამედი უჭირავს, რაც დაუშვებელია.

შემდეგ: წერილები, ლექსები, იუმორი, ასეულის ცხოვრება და სხვა უნდა რიგზე იყოს დაყოფილი და ისე მისდევდეს ერთმანეთს (თუ როგორ, ამაზე ხშირად უთითებთ ჩვენს ბიბლიოგრაფიებში გამომცემლებს).

ქვეშ, არ ვიცით რატომ, სარედაქციო კოლეგიის მაგიერ კომუჯრედის პრეზიდიუმი აწერს ხელს.

გაზეთს ეტყობა ნაჩქარევად გამოშვება, რომლის გამოც შეპარულია კორექტურული შეცდომები.

ისე გაზეთი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

შემდეგისათვის იმედია უფრო უკეთეს ნომერს გამოუშვებენ.

ხანი.

ანტირელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

მეცნიერება განუწყვეტლივ აწარმოებს კვლევას ძველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებისა და სარწმუნოების შესახებ.

რა წყაროებით სარგებლობს მეცნიერება ამ ცნობების შეკრების დროს?

დედამიწის ზურგზე დღესაც სცხოვრობენ ისეთი ტომები, რომლებიც თავისი გონებრივი განვითარებით, ყოფა-ცხოვრებით, ჩვეულებით და რწმენით თანამედროვე კულტურულ ერებზე დიდად ჩამორჩენილი არიან და უახლოვდებიან პირველყოფილ, ნახევრად ველურ ადამიანებს. ასეთი ტომები ცხოვრობენ სხვათა შორის აფრიკაში და ავსტრალიაში. ამ ტომებში დაცულია ძველი რწმენა ღმერთეზე, სულებზე, კეთილ და ბოროტ ძალებზე—სწორედ ისე ან ცოტათი შეცვლილად, როგორც ჩვენ აღვნიშნავდით პირველყოფილ, განუვითარებელ ადამიანების შესახებ.

მაგალითად ამ ველურებში სრულებით არ გამოუწვევია გაკვირვება ქრისტიანულ მისიონერების ქადაგებას ქრისტეს აღდგომის, (ე. ი. სიკვდილის შემდეგ გაცოცხლების) „ლაზარეს აღდგინების“ შესახებ და სხვა მსგავს ლეგენდებს, რომლებიც მოჩმახული არიან სამღვდელოების მიერ.

ასეთ შემთხვევებში ისინი სრულიად სერიოზულად მიუთითებდენ მსგავს მაგალითებზე, რომ მათი ბაბუა ან პაპა სიკვდილის შემდეგ გაცოცხლდა და მისი სული თან სცხოვრობს მათ ახლოს; რომ ეს გარდაცვლილი წინაპარი ხშირად გამოეცხადება მათ, აძლევს რჩევა-დარიგებას და ერთი სიტყვით, სრულ მფარველობას უწევს თავის შთამომავლობასო.

აი ასეთ ტომების ცხოვრებაზე დაკვირვება და შესწავლა ერთ-ერთი წყაროა პირველ-ყოფილი ადამიანების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

მეორე წყარო არის არქეოლოგიური გათხრანი იმ ადგილების, სადაც უცხოვრია და გარდაცვლილა ძველი დროის ადამიანები. ასეთი ადგილების გათხრის დროს მეცნიერები ხშირად პოულობენ ადამიანის ჩონჩხს და მის გვერდით პირველ ყოფილ უბრალო ქვის იარაღებს, ჭურჭლეულობას და ხშირად ცხოველების ჩონჩხსაც. ზოგ ადგილებში აღმოჩენილ იქნა ერთად მრავალი ადამიანის, ცხოველების ჩონჩხები, იარაღები, ჭურჭლეულობა და სხვა. ეს არის პირველყოფილი ადამიანების ძველი „სასაფლაოები“. მაგრამ თავდაპირველად ასეთ დასაფლავებას არ ჰქონია რელიგიური (სარწმუნოებრივი) ხასიათი. რელიგიური ხასიათი მან მხოლოდ შემდეგში მიიღო. პირველად კი ეს იყო ცხოვრების აუცილებლობით ნაკარნახევი.

ადამიანმა განავითარა ცოტათი პირველყოფილი ტეხნიკა, გაიშინაურა ზოგიერთი ველური ცხოველი, გაიჩინა სურსათის ერთგვარი მარაგი. მან დამზადა აგრეთვე ზედმეტი იარაღი.

ეხლა კი უკვე, როცა ავადმყოფი ვერ სდევდა თავის ჯგუფს, მას მოამარაგებდენ აუცილებელ საჭირო იარაღებით, რომ მოკეთების შემდეგ თავი დაეცო მხეცებისაგან, დაუტოვებდენ რამოდენიმე სურსათს, ჭურჭლით წყალს, ხშირად დაკლულ ცხოველს. ავადმყოფი თუ მოიკეთებდა, საჭმელ-სასმელით უკვე უზრუნველყოფილი იყო, შენაყრდებოდა და გამოუდგებოდა თავის ჯგუფს უკან დასაწევად.

ასევე იქცეოდენ იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანი მხეცთან შეტაკების დროს დაშავდებოდა და გონებას დაკარგავდა. მას გვერდით დაუწყობდენ საჭირო იარაღსა და სურსათს. ცხადია ასე ბედის ანაბარად დატოვებული ადამიანი უმეტეს შემთხვევაში სრულიად გამოესალმებოდა სიცოცხლეს.

აი ეს ცხოვრებით ნაკარნახევი ჩვეულება თანდათანობით განვითარდა და ბოლოს რელიგიად გადაიქცა. ადამიანი რომც მომკვდარიყო თავის ჯგუფის თანდასწრებით, ისინი მაინც უტოვებდენ მას იარაღს, საჭმელ-სასმელს, ვინაიდან ისინი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ადრე თუ გვიან „მიცვალებული“ მობრუნდება, გაიღვიძებს და ყველაფერი ეს დასჭირდებაო.

აი აქ არის პირველი ჩანასახი იმ ჩვეულებისა, რომელმაც განვითარების პროცესში სულ სხვადასხვა სახე მიიღო და ჩვენშიაც დარჩენილი იყო დღემდის საკურთხის, აღაპის, ქელეხისა და სხვა სახით.

№

სამხედრო ტრიბუნალში.

ყაჩაღების გასამართლება.

24 ოქტომბერს, სამხედრო ტრიბუნალმა, ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე: წ. მოლაშქრე ივანე ქელეხსაშვილის, მოქ. კიკნაძის, ბლიაძის და აზაროვისა. ბრალდებათ პირველ სამს შეიარაღებულ ძარცვა-გლეჯის მოწყობა, ხოლო მეოთხეს დახმარების გაწევა, ე. ი. იმ ბოროტმოქმედების ჩადენაში, რომლის ნიშნები გათვალისწინებულია ს. ს. კ. 76 მ. და 76 მ. 2-ნაწ.

ვინ შედიოდა ყაჩაღების ჯგუფში.

ყაჩაღური ჯგუფი იყო მოწყობილი ქ. სურამში, რომელსაც თავის სამოქმედო ადგილად ამოერჩია ხაშურის რაიონი, ადგილი „ცხრა მუხა“. ჯგუფში შედიოდნენ ქ. სურამში მცხ. მიხა გაგულაშვილი, ზაქარია კიკნაძე, სისვაძე და წ-მოლაშქრე ივანე ქელეხსაშვილი. ჯგუფს დახმარებას უწევდა მოვაჭრე აზაროვი, მას აქტიური მონაწილეობა ძარცვაში არ მიუღია. ჯგუფის წევრად არ შედიოდა ბლიაძე, თუმცა ერთხელ იმანაც მიიღო მონაწილეობა ძარცვაში.

ძარცვავდნენ მუშებს და გლეხებს.

ხაშურის რაიონში, ადგილი „ცხრა მუხასთან“ ხშირად იძარცვებოდნენ მგზავრები, შეიარაღებული თავდამსხმელების მიერ, მაგალითად გასულ წლის 30 დეკემბერს იქმნა გაძარცული მუშა კბილაძე თავისი ცოლით: ბოროტგამზრახველებმა იმათ სცემეს და წაიღეს, როგოროც ფული ისე კბილაძის ცოლის ორი ოქროს ბეჭედი. ამ წლის 2 იანვარს, გაძარცვეს აწყურელი გლეხები ალი-იშხიმ-ოღლი და მაღუიდ-ასლან-ოღლი, რომელთაც საშინლად სცემეს და წაართვეს სამი ფუთი თამბაქო, ფული და სხვა და სხვა ნივთები.

ხაშურის რაიონის მილიციის უფროსმა გადასწყვიტა ამ ბოროტმოქმედებების ლიკვიდაცია. ამა წლის 13 იანვარს ღამე მილიციონერებით და შეიარაღებული პარტიელი ამხანაგებით გაემგზავრენ ადგილ „ცხრა მუხასთან“ და აქ ყაჩაღებმა გადაცმული მილიციელები მიიღეს რა ისინი მშვიდობიან მცხოვრებლად, თავს დაესხენ, მაგრამ ჩასაფრებულმა მილიციონერებმა ისინი შეიპყრეს.

ისინი აღმოჩნდნენ ქ. სურამში მცხოვრებნი: გუგულაშვილი, სისვაძე და ბლიაძე.

დაპატიმრებულნი იქვე იქმნენ დაკითხულნი. ბლიაძემ განაცხადა, რომ ის პირველად იქმნა წამოყვანილი ძარცვაში მონაწილეობის მისაღებად, მისი დათრობის შემდეგ. აჩვენა, რომ გუგულაშვილის გადმოცემით არსებობს ყაჩაღური ჯგუფი, სადაც შედიან გუგულაშვილის და სისვაძეს გარდა, ქ. სურამში მცხოვრები ზაქარია კიკნაძე და წ. მოლაქრე ივანე ქელეხსაშვილი. გუგულაშვილმა მიიხრაო, ამბობს ბლიაძე, რომ ქელეხსაშვილის და კიკნაძეს მონაწილეობით გავძარცვეთ აწყურელი თათრები, წავართვით ფული და თუთუნიო და ვინმე მუშა თავისი ცოლით, რომელსაც სხვათა შორის წავართვით ოქროს ბეჭედიო.

ამის შემდეგ მილიციის უფროსმა, გუგულაშვილი და კიკნაძე მილიციელების და პარტიულ ამხანაგების თანხლებით გაგზავნა ხაშურში. ბლიაძე კი თვითონ წამოიყვანა სურამში, ქელეხსაშვილის, კიკნაძეს და აზაუროვის შესაპყრობად. დაპატიმრებულმა გუგულაშვილმა და კიკნაძემ სცადეს გაქცევა, მათ აუტეხეს სროლა, რის შედეგათაც მოკლულ იქმნა გუგულაშვილი, სისვაძემ მოასწრო დამალვა.

დაზარალებულებმა იცვნეს დამნაშავენი.

დააპატიმრეს ქელეხსაშვილი, კიკნაძე და აზაროვიც. დაზარალებულებმა კბილაძისამ იცნო ქელეხსაშვილი და თავისი ბეჭედი, ალი-იშხიმ-ოღლიმ და მაღუიდ-ასლან-ოღლიმ კი იცნეს, როგორც ქელეხსაშვილი ისე კიკნაძე. ამ უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ ნაძარცვს ინახავდნენ მოვაჭრე აზაროვთან. გამოირკვა, რომ ბლიაძემ მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა ძარცვაში, რაც სისრულეში არც-კი მოუყვანია.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო დანაშაული ქელეხსაშვილის, კიკნაძის და ბლიაძეს მიერ ს. ს. კ. 76 მ. ხოლო აზაროვის მიერ ს. ს. კ. 76 მ. 2-ნაწ.

სასჯელი.

1. ივანე ქელეხსაშვილს: თავისუფლების აღკვეთა რვა წლით სასტიკი იზოლიაციით; მთელი ქონების კონფისკაცია და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა ხუთი წლით სასჯელის მოხდის შემდეგ.

2. ზაქარია კიკნაძე (იგივე რაც ქელეხსაშვილს).

3. აზაროვს. თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით სასტიკი იზოლიაციით, მთელი ქონების კონფისკაცია, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა ხუთი წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ.

4. ბლიაძეს. თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით სამი წლით, მთელი ქონების კონფისკაცია, უფლებათა შეუზღუდველად.

მაგრამ ტრიბუნალმა მიიღო რა მხედველობაში ბლიაძის ახალგაზრდობა (17 წ.) პირველად ჩადენილი დანაშაული მან საშვალება მისცა ხელისუფლებას, ბოროტმომქმედთა აღმოჩენისა და შეამდგომლობა სურამელ გლეხებისა, რომ მას პატიებოდა სასჯელი, სასამართლომ ბლიაძეს ს. ს. კ. 46 მ. თანახმად სასჯელი შეუცვალა პირობით სასჯელად, ხუთი წლის საცდელი ვადით, ქონების კონფისკაციის ძალაში დატოებით.

ყველა დანარჩენების მიმართ სასჯელი რჩება ძალაში უცვლელად.

დიხ.

ამბები სოფლებიდან.

რაჭის სიძველეთა დაცვა.

რაჭის სამაზრო ქალაქ ონში უკვე დაინიშნა საარქეოლოგიო საქმეთა რწმუნებული, რომლის მიზანიცაა რაჭის სიძველეთა დაცვისათვის თვალყურის დევნება.

კირის ქარხანა.

გორის მაზრის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას გახსნილი აქვს კირის ქარხანა, სადაც ერთი თვის განმავლობაში მზადდება 3.500 ფუთამდე კირი.

რაჭის მილიცია.

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მილიციის შტატი გაადიდოს 6 კაცით და თავისუფალ ადგილებზე მიიღოს უმთავრესათ უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელები.

ყავრის დამზადება.

მთავრობის დაწესებულებათა საჭიროებისათვის გადაწყვეტილია რაჭის ტყეებში დაამზადონ რამოდენიმე ასეული ურემი ყავარი.

ღვინის დამზადება.

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობის ქუთაისის განყოფილებამ გადასწყვიტა შეისყიდოს გლეხებისაგან 20.000 ვედრო ღვინო.

ახალი ამბები.

— **ახალწვეულები.** ჯანსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა თათბირმა დაადგინა ახალ წვეულებს შორის მოახდინოს ყვავილის აცრა, ვაკცინაცია და საზოგადოთ მათი სანიტარულათ გაჯანსაღება.

— **პეტროგრადის პროლეტარიატის დასახმარებლად,** საქ. შრომის კომისარიატის თანამშრომლებმა ურთიერთშორის შეაგროვეს 108 მ. 50 კაპეიკი.

— **მუშათა სახლები.** ტფილისის საბინაო კოოპერაციის პრინციპიალური დადგენილებით საჭიროა ტფილისში ააშენონ მრავალ სართულიანი მუშათა სახლები.

— **სამეცნიერო მუშაკთა უზრუნველყოფა.** განათლების კომისარიატთან შესდგა სამეცნიერო მუშაკთა და საზოგადო მოღვაწეთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისია ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

— **ბრძოლა ნიაღვართან.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა მიიღოს რადიკალური ზომები ღვარიანობის მიერ ზიანის მოსალოდნელობის წინაამდეგ.

— **ავათმყოფობის აღრიცხვა.** ქალ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა აწარმოოს ავათმყოფობის შემთხვევათა აღრიცხვა.

— **მუშათა ფაკულტეტზე.** სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის დეკანათ ნაცვლათ ამხ. ს. ხუნდაძისა დაინიშნა ამხ. მეძმარიაშვილი.

— **ქარხნის გადაცემა.** ყოფილ ანანოვის აგურის ქარხანა გადაეცა ცენტრალურ აღმშენებლობას.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. განს. თქვენი წერილი „დივიზიის ლაზარეთის ცხოვრებიდან“ გადაეცა დივიზიის სანიტარულ ნაწილს.

ამხ. ბალათურიას. კორესპონდენცია „რას უნდა მივაქციოთ ყურადღება“ არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ამხ. წყაროზიას. თქვენი კორესპონდენცია „საგაუბიცო ბატარიის პარტიული ცხოვრების შესახებ“ არ დაიბეჭდება. თქვენს კორესპონდენციაში არსებითად არაფერია ნათქვამი.

მოიწერეთ თუ რა კეთდება თქვენს კომუჯრედში. მარტო ამის აღნიშვნა, რომ მუშაობა სწარმოებს არ კმარა.

ამხ. გუსევს. შემოიარეთ რედაქციაში.

ნ. დ. ს. ც
ტირაჟი 2.000
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი—ა. ბუაჩიძე